# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 6/11

ქ. მცხეთა

20 ივნისი 2012 წელი

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის №162 განკარგულების თანახმად, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი აბაშელის სახით და მეორეს მხრივ, ინდ/მეწარმე „ემზარ ნებიერიძის" სახით, შემდგომში „მომწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1. სოფ. ცხვარიჭამია:
1.1 სოფ. ცხვარიჭამიაში სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაციის სამუშაოები; თანხა 5017 ლარი; (CPV 45200000)
2. სოფ. კვლიანი:
2.1. სოფ. კვლიანში სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები; თანხა: 5570 ლარი; (CPV 45112714)
3. სოფ. თეძამი:
3.1. სოფ. თეძამში განათების ბოძის შესყიდვა; თანხა: 2565 ლარი; (CPV 44300000)
4. სოფ. ლელუბანი:
4.1. სოფ. ლელუბანში მისასვლელი გზის შეკეთების სამუშაოები; თანხა: 2429 ლარი; (CPV 45200000)
5. სოფ. მშრალახევი:
5.1 სოფ. მშრალახევში მისასვლელი გზის შეკეთების სამუშაოები; თანხა: 2331 ლარი; (CPV 45200000)
6. სოფ. მამკოდა:
6.1. სოფ. მამკოდაში სასმელი წყლის მილების შესყიდვა; თანხა: 2163 ლარი; (CPV 44160000)

## 2. სამუშაოს შესრულების ვადა და ღირებულება

2.1 სამუშაოს შესრულების ვადაა 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან;
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 20075 (ოცი ათას სამოცდათხუთმეტი) ლარი;

## 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის და ფორმა №2, №3-ის საფუძველზე.

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 შეასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.1.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას.
4.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 სამუშაოს შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს სამუშაოს ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მთლიანი სამუშაოს ღირებულების 1.0%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას მოახდენს მოწვეული ექსპერტი, შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი და საკრებულოს წევრი.

## 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 12. მხარეთა რეკვიზიტები

„მოწოდებელი"

ი/მ „ემზარ ნებიერიძე"
ს/კ 31001032042
ბანკი: „ლიბერთი ბანკის"
მცხეთის ფილიალი
ბანკის კოდი: **LBRTGE22**
ა/ა **GE03 LB0112139233561000**
მის: მცხეთა, რუსთაველის №3

ინდ/მეწარმე

ე. ნებიერიძე

„შემსყიდველი"

მცხეთის მუნიციპალიტეტი
ს/კ 236094196
ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს
მცხეთის ფილიალი
ბანკის კოდი: **LBRTGE22**
ა/ა **GE93LB0120130269077000**
მის: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის №73

საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე

გ. აბაშვილი